

მიმდინარე ანგარიშგება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის
სააგენტოს # 22 ბრძანების მიხედვით*

1. მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი „ _____ „ მარტი 2012 წელი
2. არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი: 2012 წლის თებერვალი
3. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
4. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი:

ქ. თბილისი, 0105, კუშკინის ქუჩა #3, ტელ: 2444-444, 2444-227;

მიმდინარე ანგარიშის შინაარსი:

ინფორმაცია საწარმოს შეფასებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენის შესახებ.

2012 წლის 24 თებერვალს სს „საქართველოს ბანკმა“ განახორციელა 3,635,006 ახალი ჩვეულებრივი აქციების კონვერტირება, სს „საქართველოს ბანკსა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (ერგბ), აგრეთვე სს „საქართველოს ბანკსა“ და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (სსკ) შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხის ხელშერკულების ფარგლებში შემდეგი თანაფარდობით:








ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (ერგბ) – 1,817,503 ცალი აქცია
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ) – 1,817,503 ცალი აქცია

2012 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით სს "საქართველოს ბანკის":

განცხადებული საწესდებო კაპიტალი – 43,308,125 ლარი


განადღებული საწესდებო კაპიტალი – 36,512,553 ლარი

ამასთან აქციათა კონტროლთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ, რომ ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს-ს (Bank of Georgia Holdings Plc), 2011 წლის 14 ოქტომბერს ინგლისსა და უელსში დაფუძნებული და რეგისტრირებული კომპანიის, რეგისტრაციის ნომრით 7811410 მიერ 2011 წლის 21 დეკემბერს გამოცხადებული სატენდერო შეთავაზების ფარგლებში, ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს-ს მიერ შეძენილ იქნა სს „საქართველოს ბანკის“ 35,909,383 ჩვეულებრივი აქცია, რაც შეადგენს სს „საქართველოს ბანკის“ მთლიანი ემიტირებული სააქციო კაპიტალის 98.35%-ს. აღნიშნული აქციების შეძენა მოხდა 2012 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით.

გენერალური დირექტორი		ირაკლი გილაური
გენერალური დირექტორი მოადგილე		გიორგი ჭილაძე
გენერალური დირექტორი მოადგილე		ავთანდილ ნამიჩეიშვილი
გენერალური დირექტორი მოადგილე		ირაკლი ბურდილაძე
გენერალური დირექტორი მოადგილე		სულხან გვალია
გენერალური დირექტორი მოადგილე		არჩილ გაჩეჩილიძე
გენერალური დირექტორი მოადგილე		მიხეილ გომართელი

გენერალური დირექტორი მოადგილე

გენერალური დირექტორი მოადგილე



მურთაზ კიკორია

ვასილ რევიშვილი

* ანგარიშგება წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის ხელმოწერის გარეშე, ვინაიდან მიმდინარე ეტაპზე იგი არ იმყოფება საქართველოში